დასტას რეკომენდაციები სამედიცინო არქივის სათავსოს პირობებთან დაკავშირებით

სს დასტა რექორდს მენეჯმენტი
27.10.2017

წინამდებარე მემორანდუმში, მარცხენა კოლონაში ჩამოთვლილია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, 2002 წლის 17 ივლისით დათარიღებული, N198/ნ ბრძანებაში მითითებული სამედიცინო არქივის სათავსოში დასაცავი პირობები, ხოლო მარჯვენა კოლონაში შესაბამისი რეკომენდაციები დასტას მხრიდან.

ჩვენი აზრით ნებისმიერი კომპანია ვისაც სურს სამედიცინო არქივის სათავსოს ოპერირება უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ ჩამოთვლილ პირობებს.

ბრძანების 2.4 მუხლში განსაზღვრული პირობები:	**დასტას რეკომენდაციები**
ა) არქივის სათავსო უნდა იყოს იზოლირებული სხვა ოთახებიდან კაპიტალური კედლებით და ჭერით	*დარჩეს უცვლელად.*
ბ) არქივის სათავსო უნდა იყოს მშრალი და აკმაყოფილებდეს ერთი მხრივ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს, მეორე მხრივ კი მას არ უნდა ემუქრებოდეს დატბორვის საშიშროება	*დარჩეს უცვლელად.*
გ) არქივის სათავსო განცალკავებული უნდა იყოს სამუშაო ოთახებისა და სამკითხველო დარბაზისგან კაპიტალური კედლით და მყარი, საკეტებიანი კარით	*დარჩეს უცვლელად.*
დ) საცავის ტეპერატურა მუდმივად უნდა მერყეობდეს +14 დან +18 გრადუსამდე ცელსიუსის, ჰაერის ფარდობითი ტენიანობა კი 45-65% ფარგლებში	*ჩასწორება: ჩვენ გირჩევთ ტენიანობა განისაზღვროს 35-65%-ით, ხოლო ტემპერატურა 5-25 გრადუსი ცელსიუსით.* ამ ბრძანებაში, ტემპერატურისა და ჰაერის ტენიანობის შეზღუდვა უნდა ეხებოდეს მხოლოდ ძველ ისტორიულ დოკუმენტებს, რომლებიც საჭიროებენ საუკუნეების მანძილზე შენახვას. იქიდან გამომდინარე, რომ სამედიცინო დოკუმენტები არ ინახება მუდმივად და უმეტესი მათგანი ინახება 15 წლით, კლიმატის კონტროლი არ არის აუცილებელი. მიუხედავად იმისა, რომ დასტა თავის საცავებში მართავს კლიმატს, ბევრ ქვეყანაში დოკუმენტაციის საცავებში კლიმატი არ კონტროლდება, მაგ. არაბთა გაერთიანებულ საამიროებში.

	საერთაშორისო გამოცდილება: ■ ამერიკის შეერთებულ შტატებში სახელმწიფო დოკუმენტები უნდა იყოს შენახული იმ პირობებში, რომელიც ხელს უშლის ობის გავრცელებას. თუ დოკუმენტები ინახება ნორმალურ ტემპერატურაზე, ჰაერის ტენიანობა განისაზღვრება 70%-ით, ხოლო მაღალ ტემპერატურაზე შენახვის შემთხვევაში - 55%-ით. ტემპერატურის შეზღუდვები განსაზღვრული არ არის. ■ გაერთიანებულ სამეფოში ჯანდაცვის ეროვნულ ცენტრს (National Health Service) არ აქვს ტენიანობისა და ტემპერატურის მოთხოვნები განსაზღვრული, თუმცა არსებობს ბრიტანული სტანდარტი, რომელიც მატერიალური დოკუმენტებისთვის განსაზღვრავს ტემპერატურას 5-დან 25 გრადუს ცელსიუსამდე და ტენიანობას 25-60%-მდე.
ე) არქივად სარდაფის ან სხვენის გამოყენება დაუშვებელია	*დარჩეს უცვლელად.*
ვ) საცავი აღჭურვილი უნდა იყოს თაროებით ან სტელაჟებით	*დარჩეს უცვლელად.*
ზ) საცავის ფანჯრებს პირველ და მეორე სართულებზე უნდა ჰქონდეს რკინის გისოსები	*დარჩეს უცვლელად.*
თ) საცავში არ უნდა იყოს ლითონის ღუმელები და რკინის საკვამლე მილები	*დარჩეს უცვლელად.*
ი) საცავის ხელოვნური განათებისთვის დასაშვებია, მხოლოდ ელექტრონული განათების გამოყენება	*დარჩეს უცვლელად.*
კ) არქივს უნდა გააჩნდეს ყველა აუცილებელი ხანძარსაწინააღმდეგო საშუალება, კერძოდ: სახანძრო სიგნალიზაცია, სახანძრო ონკანები შლანგებით, საკმარისი რაოდენობის ცეცხლსაქრობები	*დარჩეს უცვლელად.*
	დამატება: საცავი აღჭურვილი უნდა იყოს ტექნიკური საშუალებებით, რათა თავიდან ავიცილოთ მწერებისა და მღრნელების მიერ დოკუმენტაციის დაზიანება. *განმარტება:* მღრღნელები (როგორიცაა თაგვები) და მწერები სერიოზულ ზიანს აყენებენ დოკუმენტებს

ძალიან მცირე დროში. რეკომენდირებულია მავნე ორგანიზმების კონტროლის მექანიზმების გამოყენება, როგორიცაა: თაგვის ხაფანგები, მწერების ელექტრო საკლავები და მრღნელების საწინააღმდეგო შეწამლვა.

<u>დამატება: არქივში შესაღწევი კარების მონიტორინგი უნდა მოხდეს სათვალთვალო კამერით.</u>

განმარტება:

საარქივო ოთახის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ხელმისაწვდომობის მონიტორინგისთვის, შესაღწევი კარი უნდა კონტროლდებოდეს. აუდიტის შემთხვევაში, ეს ჩანაწერები შეიძლება გადამოწმდეს ელექტრონული დაშვების კონტროლის ჟურნალის გამოყენებით.

<u>დამატება: შესაღწევ კარს უნდა ჰქონდეს ელექტრონული დაშვების კონტროლი.</u>

განმარტება:

ელექტრონული წვდომის კონტროლი უზრუნველყოფს არა მხოლოდ კარის ჩაკეტვას, არამედ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ ვინ შევიდა და გამოვიდა, ამასთან, ორგანიზაციას აძლევს საშუალებას მარტივად აკონტროლოს ვინ დაუშვას ან არ დაუშვას ტერიტორიაზე.

<u>დამატება: დოკუმენტები არ უნდა იყოს განთავსებული იატაკზე.</u>

განმარტება:

ხშირად, როდესაც ორგანიზაციები განიცდიან სივრცის სიმცირეს, დოკუმენტებს ანთავსებენ იატაკზე. ეს არის საფრთხის შემცველი, რადგან მცირე წყლის გაჟონვას ან დატბორვას შეუძლია დოკუმენტების მნიშვნელოვნად დაზიანება.

<u>დამატება: არასამუშაო საათებში საცავი დაცული უნდა იყოს შეღწევადობის გამოვლენის სისტემით.</u>

განმარტება:

არასამუშაო საათებში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია საცავში შეღწეული ადამიანის სწრაფი პოვნა. ამისთვის საუკეთესო გამოსავლია საცავი აღიჭურვოს მოძრაობის დეტექტორებით, რომელიც მარტივად იპოვის შენობის იმ ადგილს, სადაც მოძრაობა შეინიშნება.